ქართული თეატრი

2025

კულტურის სამინისტრო

კვლევა განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაკვეთითა და მხარდაჭერით

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

თამთა ქაჯაია, თეატრმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

ზურაბ ნემსაძე, თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ილუსტრაციების ავტორი: **ნინო (ნუცა) კობაიძე**
დაკაბადონება: **ეკატერინე ოქროპირიძე**

კვლევა ეყრდნობა თეატრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას

© საქართველოს კულტურის სამინისტრო, 2025
© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი, 2025

სარჩევი

ქართული თეატრი სტატისტიკაში 5

გასტროლების რეიტინგი 8

დრამატურგია 10

პრემიერებისა და სარეპერტუარო სპექტაკლების რეიტინგი 11

დაფინანსების წყაროები 15

გაყიდული ბილეთების რეიტინგი 18

დამსწრე მაყურებლის რეიტინგი 20

თეატრების მუშაობის რეიტინგი 22

ლიდერი სპექტაკლების რეიტინგი 28

პროდუქტიული ხელოვანები 30

სტატისტიკური ანალიზი თეატრების მიხედვით 34

2024-2025 წლების შედარებითი სტატისტიკა 69-70

კვლევაში მონაწილე თეატრების სია

1. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
2. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრი
3. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
4. თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
5. თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
6. რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრი
7. ჩრდილების სახელმწიფო თეატრი „ბუდრუგანა გაგრა“
8. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი
9. თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი
10. თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი
11. თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი
12. ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი
13. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
14. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
15. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
16. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
17. ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი
18. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
19. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი
20. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
21. ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
22. გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
23. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი
24. ახალციხის (მესხეთის) თეატრი
25. ახალციხის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი
26. დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
27. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
28. გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი

კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 28 თეატრი, მათ შორის, 5 თოჯინური, 1 მარიონეტების, 1 ჩრდილების, 2 ოპერისა და ბალეტის, 1 საბავშვო-საყმაწვილო და 18 დრამატული თეატრი.

28 თეატრიდან 12 დედაქალაქის თეატრია, ხოლო 16 რეგიონული.

კვლევა ეფუძნება 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 დეკემბრამდე მონაცემებს.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მონაცემები წარმოადგინა კვლევის დასრულების შემდეგ, ამიტომაც დიაგრამებში ეს კონკრეტული თეატრი მოაზრებული არ არის, მისი მონაცემები წარმოდგენილია ცალკე. სრული და ზუსტი სტატისტიკის მისაღებად გთხოვთ, მონაცემებს დაუმატოთ ოპერის თეატრის მონაცემები.

ასევე კვლევიდან 2025 წლის ამოღებულია ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი, ვინაიდან თეატრს 2025-ში წარმოდგენები არ გაუმართავს და შეწყვეტილი ჰქონდა ფუნქციონირება.



2025 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს 27 თეატრში შედგა 91 პრემიერა, მათ შორის დედაქალაქის თეატრში 39, რეგიონის თეატრებში 51.

2025 წლის მონაცემებით, საქართველოს 27 თეატრის რეპერტუარში 331 მოქმედი სარეპერტუარო სპექტაკლია, მათ შორის, 180 დედაქალაქის თეატრებში, 151 რეგიონის თეატრებში.

2025 წელს, საქართველოს 27 თეატრმა წლის განმავლობაში წარმოადგინა 2 452 სპექტაკლი, მათ შორის 1 662 დედაქალაქის, 790 რეგიონის თეატრებში.





2025 წელს, საქართველოს 27 თეატრში წარმოდგენილ 2 452 სპექტაკლს დაესწრო 453 035 მაყურებელი, მათ შორის დედაქალაქში 270 216, ხოლო რეგიონში 92 819 მაყურებელი.





2025 წელს, საქართველოს 27 თეატრმა წლის განმავლობაში გაყიდა 374 634 ბილეთი, მათ შორის 231 936 დედაქალაქის, 142 698 რეგიონის თეატრებმა.

2025 წელს 27 თეატრიდან ქვეყნის შიგნით გასტროლებზე არ ყოფილა 12 თეატრი, მათ შორის 6 დედაქალაქის, ხოლო 6 რეგიონის. ეს თეატრებია: მარიონეტების, გრიბოედოვის, სომხური, ცხინვალის, თელავის, გურჯაანის, ახალციხისა და ქუთაისის თოჯინების, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის, ჭიათურის თეატრები. 27 თეატრიდან 16 თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს 29 გეოგრაფიულ პუნქტში და ამ გასტროლების ფარგლებში მათ გამართეს 110 წარმოდგენა, მათ შორის, დედაქალაქის თეატრებმა რეგიონებში ითამაშეს 55 წარმოდგენა, ხოლო რეგიონის თეატრებმა დედაქალაქსა და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში სულ 55 წარმოდგენა გამართეს.



გასტროლები უცხოეთში

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს თეატრები ყველაზე ხშირად სტუმრობდნენ თელავს (10-ჯერ), ოზურგეთს (7-ჯერ) და ქუთაისს (5-ჯერ). დანარჩენ ქალაქებს 3-4 ჯერ.

2025 წელს საქართველოს 27 თეატრიდან ქვეყნის ფარგლებს გარეთ არ ყოფილა დედაქალაქის 5 (მათ შორის, რუსთაველის ეროვნული, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის კინომსახიობთა, მარიონეტებისა და ჩრდილების თეატრები) და რეგიონის 9 თეატრი (მათ შორის, თელავის, გურჯაანის თოჯინების, დმანისის, გორის, ახალციხის თოჯინების, ქუთაისის ოპერის, ქუთაისის დრამატული, ზესტაფონისა და ჭიათურის დრამატული თეატრები).

2025 **წელს საქართველოს** 27 თეატრიდან 12 საგასტროლოდ იმყოფებოდა სამ კონტინენტზე - ევროპის, აზიის და აფრიკის 20 ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ესპანეთი, გერმანია, ავსტრია, ირლანდია, ბელგია, ბელორუსი, ჩინეთი, ბულგარეთი, მაკედონია, ყაზახეთი, იტალია, არაბეთი, ესტონეთი, უნგრეთი, თურქეთი, შვეიცარია, კენია, ინდოეთი, **სინგაპური, აზერბაიჯანი.** 12 თეატრმა ჯამში 84 წარმოდგენა გამართა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის 6 დედაქალაქის თეატრია, ხოლო 7 რეგიონის თეატრი. **ყველაზე ხშირად ქართული თეატრები სტუმრობდნენ:** ყაზახეთს, ჩინეთს და თურქეთს.

გასტროლები საზღვარგარეთ - 2025



2025 წლის მონაცემებით დრამატურგიის მიმართ ინტერესი ასე გამოიყურება.
თანამედროვე ქართული დრამატურგია - 8
თანამედროვე უცხოური დრამატურგია - 34
ქართული კლასიკური დრამატურგია - 17
მსოფლიო კლასიკური დრამატურგია - 23



პრემიერების რეიტინგი

(ეფუძნება 2025 წლის 1 დეკემბრამდე მონაცემებს)

კვლევაში ჩართული 27 თეატრიდან 26 თეატრში გაიმართა 82 (+9 დეკემბერში დაგეგმილი პრემიერები) პრემიერა. 5 თეატრში პრემიერა საერთოდ არ გამართულა (არც დაგეგმილია). 27 თეატრიდან თბილისის 9 თეატრში 41 პრემიერა გაიმართა,16 რეგიონის თეატრიდან 2-ში არ გამართულა არც ერთი პრემიერა, ხოლო 14 თეატრში 51 პრემიერა შედგა.




პრემიერების რეიტინგი 2025 (თბილისი)
12
10
8
6
4
2
0
11
6
5
5
5
3
2
1
პრემიერები 2024
ირაკლი მაღლაფერიძე
თეიმურაზ ბურჭულაძე
გიორგი ბარამიძე
ალექსანდრე ბენაშვილი
ალეკო ელისაშვილი
ნიკოლოზ ბარამიძე
ალექსანდრე ელბაქიძე
ალექსანდრე ჩიქოვანი
ალექსანდრე ვეფხვაძე


პრემიერების რეიტინგი 2025 (რეგიონები)
9
8
7
6
5
4
3
2
1
0
8
6
6
5
4
4
4
3
3
3
1
1
პრემიერები 2024
ზუგდიდი
გორი
მესხეთი
ოზურგეთი
ახალციხის თოლიები
ქუთაისის დრაკა
ფოთი
ზესტაფონი
ჭიათურა
სენაკი
ბორჯომის თოლიები
ქუთაისის ოპერა

რეპერტუარის რეიტინგი

კვლევაში ჩართული 27 თეატრის რეპერტუარში 331 სპექტაკლია. თბილისის თეატრების რეპერტუარში 180 სპექტაკლია, ხოლო რეგიონის თეატრებში 151 სპექტაკლია.




რეპერტუარში არსებული სპექტაკლების რეიტინგი - თბილისი - 2025
50
45
40
35
30
25
20
15
10
5
0
43
28
22
21
19
13
6
6
4
მოზარდი
გრიბოედოვი
თუმანიშვილი
თბილისის თოჯინები
მარჯანიშვილი
რუსთაველი
ჩრდილები
სოშური
მარიონეტები
რეპერტუარში არსებული სპექტაკლების რეიტინგი 2024


რეპერტუარში არსებული სპექტაკლების რეიტინგი - რეგიონი - 2025
25
20
15
10
5
0
20
16
15
14
12
12
11
10
9
მესხეთი
ქუთაისის თოჯინები
გორი
ახალციხის თოჯინები
ფოთი
ზუგდიდი
ზესტაფონი
ქუთაისის დრამა
სენაკი
რეპერტუარში არსებული სპექტაკლების რეიტინგი 2024

დაფინანსება

საქართველოს კულტურის სამინისტრომ, მასზე დაქვემდებარებულ 26 თეატრში, 2025 წელს, დააფინანსა 34 პროექტი (11 თბილისში, 22 რეგიონში), რამაც ჯამში შეადგინა 523 078 ლარი. მათგან 193 822 ლარი დაიხარჯა დედაქალაქზე, ხოლო 329 256

ლარი რეგიონზე. 26 თეატრიდან 11 თეატრს არ მიუმართავს სამინისტროსთვის დაფინანსების მიზნით, მათგან 6 თბილისის, ხოლო 5 რეგიონის თეატრია.

რაც შეეხება მუნიციპალურ დაფინანსებას: 2025 წელს დედაქალაქის 11 თეატრიდან, მერიის დაფინანსება ერგო მხოლოდ 2 თეატრს და ჯამში 4 პროექტი დაფინანსდა 46 000 ლარით. რეგიონის 16 თეატრიდან მუნიციპალური დაფინანსება მიიღო 6 თეატრმა, დაფინანსდა 14 პროექტი (სპექტაკლი), რაზეც დაიხარჯა 193 568,80 ლარი.

დედაქალაქის 11 თეატრიდან 6-მა საკუთარი სახსრებით განახორციელა 27 სპექტაკლი და შეძლო 351 495 ლარის მოძიება. ხოლო რეგიონის 16 თეატრიდან საკუთარი სახსრებით 9 თეატრმა დადგა 20 სპექტაკლი და მოახდინა 201 336 ლარის მობილიზება.

ჯამში, 2025 წელს, 25 თეატრის სადადგმო ხარჯებმა შეადგინა 1 315 477,8 ლარი, ხოლო შემოსავალი 25 თეატრში ჯამში 5 390 972 ლარი გახლდათ (მათ შორის, დედაქალაქის თეატრების 4 427 466 ლარი, რეგიონების 963 506 ლარი).


დაფინანსება 2025
40
35
30
25
20
15
10
5
0
34
11
22
10
4
6
36
27
9
სამინისტრო
მუნიციპალიტეტი
კერძო
პროექტის რაოდენობა
თბილისი
რეგიონი


შემოსავალი საქართველოს თეატრები 2025 წლის 1 დეკემბრამდე
1800000
1600000
1400000
1200000
1000000
800000
600000
400000
200000
0
139971
15604
15491
13,206
492363
27,842
2850
42878
94,310
43883
75109
651,100
1,019,577
321,891
1,620,950
1.3
1240
810887
440
1380


შემოსავალი რეგიონის თეატრებში
2025 წლის 1 დეკემბრამდე
ოზურგეთის თეატრი
75109
ფოთის თეატრი
43883
ხაშურის თეატრი
94,510
ზუგდიდის თეატრი
42878
ჭიათურის თეატრი
2850
ზესტაფონის თეატრი
27,842
ქუთაისის დრამატული თეატრი
492363
ბორჯომის თოჯინების თეატრი
13,205
ახალციხის თოჯინების თეატრი
15491
მცხეთის (ახალციხის)თეატრი
15604
გორის თეატრი
139971
0
100000
200000
300000
400000
500000
600000


შემოსავალი თბილისის თეატრები
2025 წლის 1 დეკემბრამდე
1800 000
1600 000
1400 000
1200 000
1000 000
800 000
600 000
400 000
200 000
0
1620 951
1009 577
810 882
651 100
321 895
1 380
1 240
440
1
0
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%



გაყიდული ბილეთები




გაყიდული ბილეთები - თბილისი 2025
ცხინვალი 138
ჩრდილები 220
სომხური 1,529
რუსთაველი 6,658
თუმანიშვილი 6,800
თბილისის თოჯინები 11,284
გრიბოედოვი 12,513
მარიონეტები 22,461
მარჯანიშვილი 24,973
მოზარდი 97,313
0
20,000
40,000
60,000
80,000
100,000
120,000
მოზარდი
მარჯანიშვილი
მარიონეტები
გრიბოედოვი
თბილისის თოჯინები
თუმანიშვილი
რუსთაველი
სომხური
ჩრდილები
ცხინვალი


გაყიდული ბილეთები - რეგიონი 2025
თელავი 2,515
ზუგდიდი 3090
ბორჯომის თოჯინები 3,822
მესხეთი 3,830
ახალციხის თოჯინები 4,004
მესხიშვილის თეატრი 4,238
სენაკი 7,465
გორი 13,579
ქუთაისის თოჯინები 18,631
ოზურგეთი 24,936
0
5,000
10,000
15,000
20,000
25,000
30,000
ოზურგეთი
ქუთაისის თოჯინები
გორი
სენაკი
მესხიშვილის თეატრი
ახალციხის თოჯინები
მესხეთი
ბორჯომის თოჯინები
ზუგდიდი
თელავი

დამსწრე
მაყურებელი


დამსწრე მაყურებელი 2025
19%
17%
13%
12%
9%
9%
9%
6%
6%
თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
ოზურგეთის აღელვანდრე ნეფენაკას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება, ქუთაისის იავნა ფოფხაძვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
თბილისის აღელვანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება, თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
ნათელის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი


დამსწრე მაყურებელი - თბილისი 2025
2,023
460
12,561
20,479
12,388
22,496
24,973
116,496
მოზარდი
მარუჯანიშვილი
მარიონეტები
თუმანიშვილი
გრიბოედოვი
თბილისის თოჯინები
რუსთაველი
სომხური
ჩრდილები
აზერბაიჯანული


დამსწრე მაყურებელი რეგიონი 2025
4,993
7,387
7,510
9,797
15,370
17,764
90,055
გორი
ოზურგეთი
ქუთაისის თოჯინები
ქუთაისის დრამა
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
სენაკი


წარმოდგენების რაოდენობა
წლიწადში


წარმოდგენების რაოდენობა 2025
2395
1601
794
უკმი
დედაქალაქი
რეგიონი
უკმი
დედაქალაქი
რეგიონი

თეატრების სტაბილური ფუნქციონირების რეიტინგი

წარმოდგენების რაოდენობის გამართვის მიხედვით

2025 წლის 1 დეკემბრამდე

იდეალური დატვირთვა 200-250 წარმოდგენა წელიწადში	**აქტიური თეატრი** 150-200 წარმოდგენა წელიწადში	**დინამიკური თეატრი** 100-150 წარმოდგენა წელიწადში	**სტაბილური თეატრი** 70-100 წარმოდგენა წელიწადში
მოზარდ მაყურებელთა თეატრი 639	**თბილისის თოჯინების** თეატრი 194	**მარჯანიშვილ**ის თეატრი 139	**გრიბოედოვის** რუსული თეატრი 95
თბილისის **მარიონეტების** თეატრი 296		**ოზურგეთის** თეატრი 103	**თუმანიშვილის** კინომსახიობთა თეატრი 87
ქუთაისის თოჯინების თეატრი 204			**ზუგდიდის** თეატრი 82
			რუსთაველის ეროვნული თეატრი 72

თეატრების სტაბილური ფუნქციონირების რეიტინგი

წარმოდგენების რაოდენობის გამართვის მიხედვით

2025 წლის 1 დეკემბრამდე

პასიური თეატრი 40-70 წარმოდგენა წელიწადში	**არასტაბილური** **თეატრი** 40-20 წარმოდგენა წელიწადში	**გაჩერებული** **თეატრი** 20-10 წარმოდგენა წელიწადში
ქუთაისის თეატრი 63	**სენაკის** თეატრი 35	**დმანისის** თეატრი 12
ჩრდილების თეატრი „აფხაზეთი“ 58	**თელავის** თეატრი 30	თბილისის **სომხური** თეატრი 12
ფოთის თეატრი 51	**ზესტაფონის** თეატრი 29	**ჭიათურის** თეატრი 12
გორის გიორგი ერისთავის თეატრი 49	**მესხეთის** (ახალციხის) თეატრი 25	ქუთაისის **ოპერისა** და ბალეტის თეატრი 9
ბორჯომის თოჯინების თეატრი 48		ჰეიდარ ალიევის **აზერბაიჯანული** თეატრი 8
ახალციხის თოჯინების თეატრი 42		**ცხინვალის** დრამატული თეატრი 1
		გურჯაანის თოჯინების თეატრი 0

თეატრების სტაბილური ფუნქციონირებისა და მაყურებელთა ინტერესის რეიტინგი

საქართველო - 2025 წლის დარბაზის დატვირთულობა

1. მარიონეტების თეატრი - 100%
2. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი - 94,75 %
3. ფოთის თეატრი - 89%
4. ოზურგეთის თეატრი - 88%
5. ქუთაისის თოჯინები - 82%
6. მოზარდ მაყურებელთა თეატრი - 75%
7. თელავის თეატრი - 68%
8. თბილისის თოჯინების თეატრი - 66%
9. გორის თეატრი - 64%
10. ბორჯომის თოჯინების თეატრი - 59%
11. ქუთაისის მესხიშვილის თეატრი - 56%
12. გრიბოედოვის თეატრი - 55%
13. ახალციხის თოჯინების თეატრი - 55%
14. მარჯანიშვილის თეატრი - 51%
15. სომხური თეატრი - 49%
16. ჭიათური თეატრი - 48%
17. რუსთაველის თეატრი - 40 %
18. ზუგდიდის თეატრი - 40%
19. მესხეთის (ახალციხის) თეატრი - 39%
20. სენაკის თეატრი - 36%
21. ზესტაფონის თეატრი - 34%
22. ჩრდილების თეატრი - 14%

23. გურჯაანის თოჯინები - 0%
24. აზერბაიჯანული თეატრი - 0%
25. დმანისის თეატრი - 0%
26. ცხინვალის თეატრი - 0%
27. ქუთაისის ოპერა - 0%

დედაქალაქი

1. მარიონეტების თეატრი - 100%
2. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი - 94,75 %
3. ფოთის თეატრი - 89%
4. მოზარდ მაყურებელთა თეატრი - 75%
5. თბილისის თოჯინების თეატრი - 66%
6. გრიბოედოვის თეატრი - 55%
7. მარჯანიშვილის თეატრი - 51%
8. სომხური თეატრი - 49%
9. რუსთაველის თეატრი - 40 %
10. ჩრდილების თეატრი - 14%
11. აზერბაიჯანული თეატრი - 0%

რეგიონები

1. ფოთის თეატრი - 89%
2. ოზურგეთის თეატრი - 88%
3. ქუთაისის თოჯინები - 82%
4. თელავის თეატრი - 68%
5. გორის თეატრი - 64%
6. ბორჯომის თოჯინების თეატრი - 59%
7. ქუთაისის მესხიშვილის თეატრი - 56%
8. ახალციხის თოჯინების თეატრი - 55%
9. ჭიათური თეატრი - 48%
10. ზუგდიდის თეატრი - 40%
11. მესხეთის (ახალციხის) თეატრი - 39%
12. სენაკის თეატრი - 36%
13. ზესტაფონის თეატრი - 34%
14. გურჯაანის თოჯინები - 0%
15. დმანისის თეატრი - 0%
29. ცხინვალის თეატრი - 0%
30. ქუთაისის ოპერა - 0%

თეატრის დატვირთვის კვლევა ემყარება შემდეგ მონაცემებს:

1. დარბაზში ადგილების რაოდენობას, სადაც გათვალისწინებულია, როგორც დიდ თეატრებში სხვადასხვა დარბაზებში ადგილების სხვადასხვა რაოდენობა, ისე ცალკეულ სპექტაკლების სპეციფიკა (მაგ. „ჟოლო“ მარჯანიშვილის დიდ სცენაზეა დადგმული, მაგრამ მხოლოდ 120 მაყურებელზეა გათვლილი)

2. სპექტაკლების რაოდენობას წლის განმავლობაში

3. მაყურებლის საერთო რაოდენობას წლის განმავლობაში

პროცენტი ითვლება ჩვეულებრივ ფორმულით:

Y*100/X

სადაც

X არის პოტენციური მაყურებლის რაოდენობა, ანუ რამდენი მაყურებლის დატევის შესაძლებლობა არსებობს წლის განმავლობაში. ამის გამოსათვლელად სპექტაკლების რაოდენობა მრავლდება დარბაზში არსებული ადგილების რაოდენობაზე

Y არის მაყურებლის რეალურ რაოდენობას წლის განმავლობაში.

იმ თეატრებში სადაც სხვადასხვა დარბაზებია X გამოითვლება:

დარბაზი 1-ის ადგილების რაოდენობა გამრავლებული ამ დარბაზში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობაზე + დარბაზი 2-ის ადგილების რაოდენობა გამრავლებული ამ დარბაზში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობაზე + დარბაზი 3-ის ადგილების რაოდენობა გამრავლებული ამ დარბაზში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობაზე და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

რეიტინგული სპექტაკლები - 2025

1. მარიონეტების თეატრი - ჩემი გაზაფხულის შემოდგომა - 90
2. მოზარდ მაყურებლის თეატრი - რწყილი და წიანჭველა - 48
3. ოზურგეთის თეატრი - ილია თანამდევი სული - 48
4. ქუთაისის თოჯინების თეატრი - ცრუპენტელა მლაკუდა - 40
5. თბილისის თოჯინების თეატრი - ჟირაფი ჟოზე - 32
6. ახალი თეატრი - მე გადმოვცურავ ზღვას - 31
7. მარჯანიშვილის თეატრი - თორმეტი თვე - 29
8. ზუგდიდის თეატრი - ოქროს წიწილა - 25
9. რუსთაველის თეატრი - სიზმრების ტბის საიდუმლო - 17
10. ბორჯომის თოჯინების თეატრი - როგორ გაჩნდა ხელოვნური ნაძვის ხე - 14
11. მესხიშვილის თეატრი - შობის სიზმარი - 14
12. ზესტაფონის თეატრი - იავნანამ რა ჰქმნა - 12
13. ახალციხის თოჯინების თეატრი - ბატის ჭუკი - 10
14. თუმანიშვილის თეატრი - გრძელი დღის შემოღამება - 9
15. გორის თეატრი - ჩიპოლინო - 11
16. ფოთის თეატრი - მსხვერპლი - 9
17. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი - კარმენი - 8
18. ჭიათურის თეატრი - მოდარაჯე ძაღლები - 8
19. თელავის თეატრი - სიცოცხლის საგალობელი - 7
20. სენაკის თეატრი - ჩიპოლინოს თავგადასავალი - 7
21. გრიბოედოვის თეატრი - ჭირვეული პრინცესა - 6
22. მესხეთის თეატრი - უკან ნუღარ მიიხედავ - 4
23. ჩრდილების თეატრი - წელიწადის ოთხი დრო - 3

2025 წლის მიხედვით ყველაზე მეტი სპექტაკლი დადგა
რეჟისორებმა:

ნიკოლოზ საბაშვილი – 5;
გიორგი კაშია – 5;
არმენაკი ბაიანდურიანი – 4;
საბა ასლამაზიშვილი – 4.

2025 წლის მიხედვით სცენოგრაფებიდან ყველაზე მეტ
სპექტაკლზე იმუშავეს:

ლომგულ მურუსიძე - 7;
ნანა ყორანაშვილი - 7;
ლელა ფერაძე - 7;
ქეთი ციციშვილი - 6;
ვახტანგ ქორიძე - 5;
ანა დოლიძე - 5;
გიორგი უსტიაშვილი - 5.

2025 წელს ყველაზე პროდუქტიული ქორეოგრაფები არიან:

გია მარღანია - 12;
ირინა კუპრავა - 5;
კოტე ფურცელაძე - 3.

2025 წელს ყველაზე მეტი სპექტაკლისთვის მუსიკა დაწერა
ერთმა კომპოზიტორმა

კონსტანტინე ეჯიბაშვილმა - 5;
კოტე მალანია - 3.

მუსიკალურ გამფორმებლად ყველაზე მეტი სპექტაკლისთვის
გვევლინებიან რეჟისორები:

ნიკოლოზ საბაშვილი - 5;
ზურაბ გაგლოშვილი -3.

2025 წლის მონაცემებით, 26 სახელმწიფო თეატრის მონაცემებზე დაყრდნობით, მსახიობთაგან ლიდერი არის:

ნინო პაპიაშვილი - თბილისის თოჯინების თეატრის მსახიობი, რომელმაც 2025 წელს ყველაზე მეტ პრემიერაში მიიღო მონაწილეობა, მან 5 ახალ დადგმაში მიიღო მონაწილეობა.

2025 წლის მონაცემებით, 20-ზე მეტი მსახიობია, რომელმაც 4 პრემიერაში მიიღო მონაწილეობა, ამიტომაც სხვა ლიდერი არ გამოიკვეთა.

2025 წელს 4 თეატრში (მათ შორის თბილისის -, რეგიონის-2) მიიღეს 16 მსახიობი, მათგან 12 დედაქალაქის თეატრებში, ხოლო 4 რეგიონის თეატრში. 16 მსახიობიდან 8 მამაკაცია, ხოლო 6 ქალი.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, მათგან ორივე დადგმაა დაფუძნებულია უცხოურ კლასიკაზე. ორივე სპექტაკლი საოპეროა. 2025 წელს საბალეტო დადგმა არ განხორციელებულა. რა ხარჯები გასწია საპრემიერო წარმოდგენების მომზადებაზე თეატრმა არ ვიცით, ვინაიდან მათ ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ, შესაბამისად არ ვიცით, საიდან მიიღო თეატრმა დაფინანსება, კულტურის სამინისტროსგან, მუნიციპალიტეტისგან თუ კერძო სექტორიდან.

2 პრემიერიდან ორივე პრემიერა უცხოეთიდან მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს. დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 18-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ სპექტაკლი - „ნავარელი ქალი“- (ოპერა) სულ 11-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 7-ჯერ იყო წარმოდგენილი „მადამ ბატერფლაი“. ორივე დადგმა საოპეროა.

2025 წლის მონაცემებით, თეატრის რეპერტუარში 14 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 61 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 48 025 ბილეთი, ხოლო დაესწრო 59 900 მაყურებელი.

ყველაზე მეტჯერ (8-ჯერ) წარმოდგენილ სპექტაკლზე „კარმენი“ გაიყიდა 5 128 ბილეთი, ხოლო ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილ სპექტაკლებზე (2-2-ჯერ): „ლაურენსია“ გაიყიდა 1 387ბილეთი, „აბესალომ და ეთერი“ (1578 ბილეთი), ხოლო სპექტაკლზე „ტრავიატა“ გაიყიდა 1 851 ბილეთი.

2025 წელს თეატრს გასტროლები არ გაუმართავს საქართველოს ქალაქებში, თუმცა ის იმყოფებოდა ორ კონტინენტზე, 5 ქვეყანაში საბერძნეთი, სინგაპური, ავსტრია, ირლანდია ინგლისი), სადაც ჯამში 52 წარმოდგენა გამართა. მათგან ყველა სპექტაკლი საბალეტოა.

2025 წელს, თეატრის დასს გარდაცვალების გამო გამოაკლდა 2 მსახიობი (64 და 91 წლის), მსახიობის პოზიციიდან გათავისუფლდა 6 მსახიობი. თეატრის დასი შეივსო 6 ახალგაზრდა მსახიობით, რომელთა ასაკი მერყეობს 18-დან 30 წლამდე. დასში 7 მსახიობია, რომელსაც საპრემიერო წარმოდგენებში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათი ასაკი 44 წლიდან 63 წლამდე მერყეობს.

პრემიერა - 2

სარეპერტუარო სპექტაკლები - 14

ქარმოდგენების რაოდენობა - 61

გაყიდული ბილეთბი - 48 025

დამსწრე მაყურებელი - 59 900

გასტროლები უცხოეთში - 2 კონტინენტი, 6 ქვეყანა, 52 წარმოდგენა



რუსთაველის ეროვნული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, მათგან ერთი დადგმა დაფუძნებულია კლასიკოსი ქართველი ავტორის ტექსტზე, ხოლო მეორე უცხოელ კლასიკოს ავტორზე. ჟანრობრივად ორივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 2 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 7 225 ლარი, რაც მთლიანად კერძო სახსრებს შეადგენს.

2 პრემიერიდან ორივე პრემიერა მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 13-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ სპექტაკლი - „მსხვერპლნი"- სულ 7-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 5-ჯერ იყო წარმოდგენილი „მილიონერი ნაპოლი".

2025 წლის მონაცემებით, რუსთაველის ეროვნული თეატრის რეპერტუარში 13 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 72 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 6 658 ბილეთი, ხოლო დაესწრო 6 390 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლები „სიზმრების ტყის საიდუმლო" (17 ჯერ). რომელზედაც გაიყიდა 957 ბილეთი.

რუსთაველის ეროვნული თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „„სიზმრების ტყის საიდუმლო" (957 ბილეთი). ყველაზე დაბალი გაყიდვები ჰქონდა სპექტაკლს მ„ე პაწია მერცხალი ვარ", რომელზედაც 51 ბილეთი გაიყიდა. სპექტაკლი 2025 წლის განმავლობაში 2-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2025 წელს რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 7 გეოგრაფიულ პუნქტში (გურჯაანი, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, მესტია, ბოლნისი, თელავი) და ითამაშა 8 წარმოდგენა (მათ შორის ორჯერ გურჯაანში). მათგან მხოლოდ 1 იყო ფესტივალი, დანარჩენი გასტროლი.

რუსთაველის ეროვნულ თეატრს 2025 წელს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2025 წელს რუსთაველის ეროვნულ თეატრში 2 სპექტაკლის პრემიერა შედგა. პრემიერების მცირე რაოდენობის გამო მსახიობთა რეიტინგის დადგენა შეუძლებელია.

2025 წელს, რუსთაველის ეროვნული თეატრის დასში რაიმე სახის განახლება არ მომხდარა. 2025 წლის მონაცემებით, საპრემიერო დადგმებში მონაწილეობა არ მიუღია 36 მსახიობს, რომელთა ასაკი მერყეობს 28 წლიდან 81 წლამდე.



თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს, იანვრიდან ნოემბრის პერიოდში, თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, ხოლო დეკემბერში შედგა 3 სპექტაკლის პრემიერა. აღნიშნული 8 პრემიერიდან 6 დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ დრამატურგიაზე, ხოლო 2 უცხოური თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშია. ჟანრობრივად სპექტაკლები ერთმანეთისგან განსხვავებულია. 5 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა 150 142 ლარი დახარჯა, მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს

დაფინანსება შეადგენს 29 510 ლარს, მუნიციპალური 10 000 ლარს, ხოლო კერძო სახსრებია 110 632 ლარი.

8 პრემიერიდან არც ერთი დადგმა არ ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, შესაბამისად, პრემიერები მოწვეულმა ქართველმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 5 პრემიერა იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში გათამაშდა 60-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 30 - ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „თორმეტი თვე“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ „ყაჩაღები“.

2025 წლის მონაცემებით, მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში 19 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 139 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 24 973 ბილეთი, ხოლო დაესწრო 25 450 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი სპექტაკლი „თორმეტი თვე“ (29- ჯერ), რომელზედაც გაიყიდა 8 672 ბილეთი. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ 2-ჯერ იყო წარმოდგენილი „ფიგაროს ქორწინება“ (გაიყიდა 446 ბილეთი).

2025 წელს მარჯანიშვილის თეატრს საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს 3 გეოგრაფიულ პუნქტში, მათ შორის, თელავში, ამბროლაურში, რუსთავი. ჯამში თეატრმა 3 საგასტროლო სპექტაკლი გამართა. 2025 წელს მარჯანიშვილის თეატრს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2025 წელს მარჯანიშვილის თეატრის დასში განახლება არ მომხდარა. 2025 წლის მონაცემებით, მარჯანიშვილის თეატრის დასში 70 მსახიობია, რომელთაგან პრემიერებში მონაწილეობა არ მიუღიათ 37 მსახიობს, მათგან 19 ქალია, 18 კაცი.

მარჯანიშვილის თეატრში 2025 წლის მონაცემების 8 პრემიერიდან 3 ში მონაწილეობდა ვარლამ კორშია.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 6 პრემიერა, მათგან 2 დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ დრამატურგიაზე, ერთი ქართული კლასიკური ტექსტია, ხოლო 3 უცხოური თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშებია. ჟანრობრივად სპექტაკლები ერთმანეთისგან განსხვავებულია. 6 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა 128 868, 6 ლარი დახარჯა, მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 99 518 ლარს, მუნიციპალური 15 000 ლარია, ხოლო კერძო სახსრებია 14 350, 6 ლარი.

6 პრემიერიდან არც ერთი დადგმა არ ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, სამი პრემიერა მოწვეულმა ქართველმა რეჟისორებმა განახორციელეს, ხოლო სამი უცხოელმა რეჟისორებმა.

დადგმული 6 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 25-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 9 - ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „გრძელი დღის შემოღამება“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ „წასული“.

2025 წლის მონაცემებით, კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარში 22 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 87 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 6 800

ბილეთი, ხოლო დაესწრო 12 388 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი „გრძელი დღის შემოღამება“ (9- ჯერ), რომელზედაც გაიყიდა 457 ბილეთი, დაესწრო 1 350 მაყურებელი. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „მფრინავი ხვლიკი ქართულა“, „გაზაფხული მაინც მოვა“, „ყველაფერი ნამდვილად იყო“, „ჰამლეტი/მანქანა“, „ყველაფერი ნამდვილად იყო“. მათ შორის, ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „გაზაფხული მაინც მოვა“ (74 ბილეთი), ხოლო ყველაზე ნაკლები, 11 ბილეთი, სპექტაკლზე „ყველაფერი ნამდვილად იყო“.

2025 წელს კინომსახიობთა თეატრს საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს 6 გეოგრაფიულ პუნქტში, მათ შორის ქუთაისში, ქობულეთში, ხულოში, ზუგდიდში, სენაკსა და თელავში. მათგან 2 იყო ფესტივალი და 4 საგასტროლო წარმოდგენა.

2025 წელს კინომსახიობთა თეატრი იმყოფებოდა სამ ქვეყანაში, სადაც წარმოადგინა 3 სპექტაკლი. ეს ქალაქები და ქვეყნებია: მინსკი (ბელორუსი), კორდოვა (არგენტინა), პეკინი (ჩინეთი). სამივე წარმოდგენა ფესტივალის ფარგლებში გაიმართა.

2025 წელს კინომსახიობთა თეატრის დასში ცვლილება არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ მოწვევით (შტატგარეშედ) თეატრს შეემატა 10 ახალი მსახიობი: მათი ასაკი მერყეობს 21-დან 44 წლამდე.

2025 წლის მონაცემებით, თეატრის დასში (შტატში) არის 27 მსახიობი, რომელთაც არც ერთ საპრემიერო დადგმაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათი ასაკი მერყეობს 21-დან 90 წლამდე.

კინომსახიობთა თეატრში 2025 წლის მონაცემების მიხედვით ლიდერი მსახიობია ლუკა ჩიბუხაია, რომელმაც 6 პრემიერიდან 4-ში მიიღო მონაწილეობა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 11 პრემიერა, მათგან 3 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესაა, 2 ქართულ კლასიკურ მწერლობას მიეკუთვნება და 2 უცხოურ კლასიკურ დრამატურგიას და 4 თანამედროვე უცხოელი ავტორის ტექსტია. ჟანრობრივად რეპერტუარი მრავალფეროვანია. პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 225 934 ლარი, მათგან 166 940 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 22 994 ლარი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება, მუნიციპალური დაფინანსება შეადგენს 36 000 ლარს.

11 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 2 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი 9 სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 11 პრემიერა წლის განმავლობაში (2025 წლის იანვრიდან 1 დეკემბრამდე პერიოდში) გათამაშდა 146-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ (23-ჯერ) „ელფები და შობის სასწაული“. ხოლო ყველაზე ნაკლებად, სულ 2-ჯერ იყო წარმოდგენილი „მაგდანას ლურჯა“ (პრემიერა შედგა 2025 წლის ნოემბერში). ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა „სათამაშო პისტოლეტი“, რომელიც 3-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2025 წლის მონაცემებით, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში 43 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 639 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 97 313 ბილეთი და 639 სპექტაკლს დაესწრო 116 496

მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „რწყილი და ჭიანჭველა“ (48-ჯერ), გაყიდული ბილეთების რაოდენობა შეადგენა 4 199. ხოლო მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „ბრმა ძაღლები“ (გაიყიდა 76 ბილეთი, დაესწრო 144 მაყურებელი). სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 3-დან 44-მდე.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ურჩხული და ლამაზმანი“ – 8 557, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 10 031 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „ოტელო“, რომელზედაც 62 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 167 მაყურებელი.

2025 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა 25 გასვლითი წარმოდგენა გამართა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათგან 18 წარმოდგენა საქართველოში, ხოლო 7 საზღვარგარეთ. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი საგასტროლოდ სტუმრობდა საქართველოს 9 გეოგრაფიულ პუნქტს (თელავი, ოზურგეთი, გურჯაანი, ბათუმი, რუსთავი, გორი, ჩოხატაური, მესტია). მათგან 5 იყო ფესტივალი, დანარჩენი გასტროლი.

2025 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლი 6 ქვეყანაში, მათ შორის, მაკედონია, ესპანეთი, იტალია, ყაზახეთი, ბულგარეთი, თურქეთი. მსოფლიოს 6 ქვეყანაში თეატრმა 7 წარმოდგენა გამართა, მათ შორის, იტალიისა და ყაზახეთის ორ ქალაქში. მათგან უმრავლესობა იყო საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ხოლო საგასტროლო ჩვენება გაიმართა იტალიის ქალაქებში - ფლორენციასა და რეჯიო ემილიაში.

2025 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მსახიობთაგან ლიდერები არიან: ნიკა ფაიქრიძე, ნიკა ხრიკული, ნინო ლეჟავა, ნინო პაპიაშვილი და ნია ტოგონიძე, რომელებმაც 11 ახალი დადგმიდან მონაწილეობა მიიღეს 3 პრემიერაში.

2025 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასს გარდაცვალების გამო გამოაკლდა 2 მსახიობი, ერთმა მსახიობი გათავისუფლდა, ხოლო დასს შეემატა 2 მსახიობი თამარ ქადაგიძე და ნოდარ მელაძე.

საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან ერთი დადგმა დაფუძნებულია უცხოური კლასიკური ნაწარმოებზე, ერთი ქართულ კლასიკაზე, ხოლო ერთი თანამედროვე პიესაზე. პრემიერები სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლებია. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 33 483 ლარი, მათგან 100% კერძო სახსრებს შეადგენს.

3 პრემიერიდან მხოლოდ 2 დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, დანარჩენი 1 მოწვეული რეჟისორის დადგმულია.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 15-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „მოჩვენება“ სულ 7-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, სულ 3-ჯერ წარმოდგენილი იყო მტერი“. საპრემიერო სპექტაკლების წარმოდგენების რაოდენობა მერყეობს 3-დან 7-მდე.

2025 წლის მონაცემებით, თბილისის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 18 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 194 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 11 284 ბილეთი და 194 სპექტაკლს დაესწრო 11 294 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ბატის

ჭუკი“ და „ჟირაფი ჟოზე“ (32-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „ჰარი პოტერი და მაგიური სკოლა“, „მტერი“, „საქართველო“.

თბილისის თოჯინების თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ჟირაფი ჟოზე“- 2 184, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო ამდენივე მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკ ლს „მტერი“, რომელზედაც მხოლოდ 5 ბილეთი ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 15 მაყურებელი (წარმოდგენილი იყო 1-ჯერ). ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკ ლი „საქართველო“ რომელზედაც სულ 9 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო დაესწრო 12 მაყურებელი და წლის მანძილზე სულ 1-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2025 წელს თბილისის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 2 გეოგრაფიულ პუნქტში (გურჯაანი, ბათუმი) და გამართა 2 წარმოდგენა. გასვლითი წარმოდგენებიდან ორივე იყო ფესტივალი. 2025 წელს თბილისის თოჯინების თეატრს ერთი საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა ერთ ქვეყანაში შენჯენში (ჩინეთი).

2025 წელს თბილისის თოჯინების თეატრის 3 პრემიერიდან ორში დაკავებული იყო მსახიობები: დავით ბერიძე, თათია ბაქრაძე, რამონა მიქელაძე-არჯევანიძე, ნინო პაპიაშვილი.

2025 წელს, თბილისის თოჯინების თეატრს დასში განახლება არ მომხდარა. 7 მსახიობს მონაწილეობა არ მიუღიათ საპრემიერო წარმოდგენებში, მათი ასაკი 41-დან 53 წლამდე მერყეობს.

თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრს არ ჰქონია პრემიერა.

თეატრის შენიშვნა: მარიონეტული თეატრის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ სპექტაკლზე მუშაობა მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს: თოჯინების და დეკორაციების დამზადება, პიესის ტექსტის კორექტირება, ფონოგრამის ჩაწერა და ა.შ. შემდეგ კი იწყება სარეპეტიციო პროცესი. ამ ეტაპზე გაბრიაძის თეატრი იმყოფება ახალი სპექტაკლის პრემიერისთვის მზადების პროცესში, რომელიც დაგეგმილია 2026 წლის დასაწყისში. აქედან გამომდინარე 2025 წელს ახალი სპექტაკლის პრემიერა არ შემდგარა.

თეატრის რეპერტუარში 4 სპექტაკლია. წლის მანძილზე თეატრმა 296 წარმოდგენა გამართა. მათგან, ყველაზე ხშირად წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ წლის განმავლობაში 90-ჯერ. ხოლო ყველაზე

ნაკლებად წარმოდგენილი იყო „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ 52-ჯერ. 2025 წელს თეატრმა 4 სპექტაკლზე გაყიდა 22 461 ბილეთი, ხოლო 296 წარმოდგენას დაესწრო 22 496 მაყურებელი.

2025 წელს გაბრიაძის მარიონეტების თეატრს გასტროლები არ ჰქონია როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე საზღვარგარეთ. არც რაიმე სახის განახლება მომხდარა დასში.

ჩრდილების სახელმწიფო პროფესიული თეატრი „აფხაზეთი“

ჩრდილების სახელმწიფო პროფესიული თეატრი „აფხაზეთი“ ნარ გააჩნია თავისი სტაციონარი. თეატრი წარმოდგენებს მართავს რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე დარბაზში.

2025 წელს თეატრს არ ჰქონია პრემიერა.

თეატრის რეპერტუარში 2 სპექტაკლია. წლის მანძილზე თეატრმა 8 წარმოდგენა გამართა. მათგან, ყველაზე ხშირად წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“, წლის განმავლობაში 6-ჯერ. ხოლო მხოლოდ ორჯერ იყო წარმოდგენილი ორი სპექტაკლი: „მათეს ვნებანი“.

ჩრდილების თეატრმა 2025 წელს 220 ბილეთი გაყიდა, ხოლო 8 წარმოდგენას ჯამში დაესწრო 460 მაყურებელი დაესწრო.

2025 წელს ჩრდილების თეატრს საერთაშორისო გასტროლები არ ჰქონია. თეატრმა მხოლოდ საქართველოს 4 გეოგრაფიულ პუნქტში გამართა წარმოდგენა, მათ შორის

ორჯერ რუსთავში, ხოლო ერთხელ სტუმრობდნენ მაწევანს, ორბეთს, მანგლისს. ოთხივე გასვლითი წარმოდგენა გასტროლის ფარგლებში ჩატარდა.

თეატრმა დაინტერესებული პირებისთვის 50-მდე მასტერკლასი გამართა ჩრდილების ხელოვნების შესახებ.



ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, მათგან 4 დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ ლიტერატურაზე და 1 უცხოელი თანამედროვე ავტორის ტექსტია. ჟანრობრივად ხუთივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 5 პრემიერის მომზადებაზე თუ რა ფინანსური რესურსი თეატრმა დახარჯა თეატრმა ინფორმაცია არ გვაქვს. ვიცით მხოლოდ ის, რომ 4 პრემიერის მოსამზადებლად ჩატარდა 154 რეპეტიცია.

5 პრემიერიდან 2 დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, ხოლო 3 მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 5 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 12-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 6-ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „მშვენიერი ქართველი ქალი“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ იყო წარმოდგენილი „ერთი დღე მარიას ცხოვრებიდან“. 2 პრემიერა დაგეგმილი იყო დეკემბერში, რომლებიც 2025 წლის ნოემბრამდე თეატრს არ წარმოუდგენია. ეს სპექტაკლებია: „განწმენდა“ და „ასანთის შუქზე მოყოლილი ზღაპარი“.

2025 წლის მონაცემებით, გრიბოედოვის თეატრის რეპერტუარში 28 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 95 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 12 513

ბილეთი, ხოლო დაესწრო 12 561 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლები „ემიგრანტები“, „მშვენიერი ქართველი ქალი“ და „ჭირვეული პრინცესა“ (6- ჯერ). მათგან გაყიდული ბილეთების მიხედვით ლიდერობს „ჭირვეული პრინცესა“, რომელზედაც 1 602 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „შინელი“, „რევიზორი“, „მოროზკო“ და „მაუგლი“. მათგან გაყიდვებში ლიდერობს „მაუგლი“ (267 ბილეთი), ხოლო ყველაზე ნაკლები ბილეთი (65) გაიყიდა სპექტაკლზე „შინელი“.

გრიბოედოვის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ჭირვეული პრინცესა“ (1 602 ბილეთი).

2025 წელს გრიბოედოვის თეატრს გასტროლები არ ჰქონია საქართველოში. თუმცა თეატრმა საქართველოს ფარგლებს მიღმა 7 სპექტაკლი ჩაატარა. გრიბოედოვის თეატრმა იმოგზაურა 3 ქვეყანაში (ესტონეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და უნგრეთი), მათ შორის, ესტონეთში 5 წარმოდგენა გამართა. გასვლითი წარმოდგენები გასტროლების ფარგლებში ჩატარდა.

2025 წელს გრიბოედოვის თეატრის 5 პრემიერიდან სამში მონაწილეობდა მარიამ ფსუტური, შესაბამისად ლიდერის პოზიცია, როგორც ყველაზე პროდუქტიული მსახიობის, უჭირავს მას.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, გრიბოედოვის თეატრის გარკვეულმა თანამშრომლებმა სტაჟირება გაიარეს და დაესწრნენ რამდენიმე ვორქშოპს ბუდაპეშტში (უნგრეთი). ეს ვორქშოპები იყო: ხმის, განათების და სცენის ტექნოლოგიების მასტერკლასები.

თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წლის განმავლობაში თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს არ ჰქონდა შენობა. თეატრი წარმოდგენებს მართავდა სხვადასხვა სივრცეებში.

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, მათგან 4 დაფუძნებულია თანამედროვე ავტორების თხზულებებზე, ხოლო 1 ქართული კლასიკური დრამატურგიის ნიმუშია. ჟანრობრივად ორივე კომედიაა. 5 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 35 839 ლარი. მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 17 000 ლარს, ხოლო კერძო 18 839 ლარს.

5 პრემიერიდან ოთხი თეატრის ხელმძღვანელმა, ხოლო ერთი პრემიერა მოწვეულმა რეჟისორმა განახორციელა.

დადგმული 5 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 11-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 7 -ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „ახალი წლის მხიარული განწყობა“, ხოლო ყველა დანარჩენი საპრემიერო წარმოდგენა გაიმართა მხოლოდ ერთხელ.

2025 წლის მონაცემებით, თბილისის სომხური თეატრის რეპერტუარში 6 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 12 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 1 529

ბილეთი, ხოლო დაესწრო 2 523 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი „ახალი წლის მხიარული განწყობა“ (7 ჯერ), რომელზედაც 394 ბილეთი გაიყიდა. სხვა სარეპერტუარო სპექტაკლები მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი.

2025 წელს თბილისის სომხურ თეატრს გასტროლები არ ჰქონია არც საქართველოში და არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

2025 წელს თბილისის სომხურ თეატრში გამოიკვეთა ორი ლიდერი მსახიობი: გენ რიხ პეტროსიანი და არამ მიქაელიანი, რომლებმაც 5 პრემიერიდან 4-ში მიიღეს მონაწილეობა.

2025 წელს, თბილისის სომხურ თეატრის დასს შეემატა ორი მსახიობი: ერნესტ არუთიუნიანი (53 წლის) და ალა მეიროიანი (26 წლის). გარდაცვალების გამო დასს გამოაკლდა 85 წლის რობერტ აგაჯანოვი.

ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

2025 წლის განმავლობაში ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს არ ჰქონდა შენობა. თეატრი წარმოდგენებს მართავდა სხვადასხვა სივრცეებში.

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 1 პრემიერა, რომელიც დაფუძნებულია ქართულ კლასიკური მწერლის ტექსტზე. პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 24 800 ლარი. მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 1000%.

პრემიერა მოამზადა თეატრის ხელმძღვანელმა.

პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა ერთხელ. აღნიშნულ სპექტაკლზე 22 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 150 მაყურებელი.

2025 წლის მონაცემებით, თბილისის აზერბაიჯანული თეატრის რეპერტუარში 3 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 7 წარმოდგენა გამართა. მათგან სტაციონარზე 1, ხოლო 6 საგასტროლო წარმოდგენაა. მათ შორის ერთი ფესტივალის ფარგლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო წარმოდგენილი. ასევე 5 წარმოდგენა გაიმართა საქართველოს მუნიციპალიტეტებში.

2025 წელს თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 5 გეოგრაფიულ პუნქტში, მათ შორისაა: სიღნაღი, გურჯაანი,

ყვარელი, საგარეჯო, ახმეტა. თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლიც, სადაც 1 წარმოდგენა გამართა დენიზლში (თურქეთი).

ვინაიდან 2025 წელს თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში მხოლოდ 1 პრემიერა შედგა, ლიდერი მსახიობი არ გამოკვეთილა.

2025 წელს, თბილისის აზერბაიჯანული თეატრის დასი დატოვა მსახიობი ნანო მამედოვამ, ხოლო დასში მიიღეს სოფიო ბერაძე (42 წლის) და თათია ბაქრაძე (40 წლის).

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული

2025 წლის განმავლობაში ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრს არ ჰქონდა შენობა. თეატრი წარმოდგენებს მართავდა სხვადასხვა სივრცეებში.

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 1 პრემიერა, რომელიც გაიმართა დეკემბერში.

დაფინანსება მთლიანად ეკუთვნის საქართველოს კულტურის სამინისტროს.

პრემიერა მოამზადა თეატრის ხელმძღვანელმა.

2025 წლის მონაცემებით, ცხინვალის თეატრმა დეკემბრამდე მხოლოდ ერთი წარმოდგენა გამართა. „უჩინმაჩინის ქუდი“, რომელზედაც 138 ბილეთი გაიყიდა.

2025 წელს ცხინვალის თეატრის დასს შეემატა მსახიობი 24 წლის ქრისტინე ჩხიკვაძე, ხოლო გათავისუფლდნენ: 55 წლის ვეფხია კასრაძე და 66 წლის დავით ელიოზიშვილი.



თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, მათგან ორივე მიეკუთვნება ქართულ კლასიკას. 2 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 25 000 ლარი, მათგან სრულად თეატრის საკუთარი სახსრები დაიხარჯა.

2 პრემიერიდან ერთი თეატრის ხელმძღვანელმა დადგა, ხოლო მეორე მოწვეულმა რეჟისორმა.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 8-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „კომბლე - ნაბოლარას თავგადასავალი“ - სულ 5-ჯერ, ხოლო მეორე - ალუდა“ 3 -ჯერ.

2025 წლის მონაცემებით, თელავის თეატრის რეპერტუარში 8 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 26 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 2 232

ბილეთი და 8 სპექტაკლს დაესწრო 3 900 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „სიცოცხლის საგალობელი“ (7-ჯერ), მხოლოდ ერთხელ გაიმართა სპექტაკლი „მაფია და სათუთი გრძნობები. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 2 - დან 5 -მდე.

თელავის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ალუდა“- 410, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1000-მდე მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „მაფია და სათუთი გრძნობები“, რომელზედაც 96 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 130 მაყურებელი.

2025 წელს თელავის თეატრს არ ჰქონია გასტროლები არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ.

2025 წელს თელავის თეატრის მსახიობთაგან ლიდერი არ გამოკვეთილა.

2025 წელს თელავის თეატრის დასს შეუერთდა მსახიობები: ლევან გაბრავა (28 წლის), თეკლა სულაქველიძე (25 წლის), გიორგი ტაბიძე (29 წლის), ბორის ღლონტი (29 წლის), ოთარ აშკარელიშვილი (28 წლის) და ანი ამინაშვილი (25 წლის). მთავარი რეჟისორის პოსტიდან გათავისუფლდა 74 წლის გიორგი ჩაკვეტაძე.

2025 წელს თელავის თეატრი მასპინძლობდა შემდეგ ვორქშოპებს: „მუსიკა და თეატრი“, „დრამატურგია და თეატრი“ და „ფოტოგრაფია და თეატრი”. ვორქშოპები დააფინანსა საქართველოს კულტურის სამინისტრომ.

საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

გურჯაანის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან 2 დადგმა დაფუძნებულია ქართულ კლასიკური ნაწარმოებზე, ერთი უცხოურ კლასიკაზე. ჟანრობრივად ოთხივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 3 პრემიერის

მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 10 635 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 6 500 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 4 125 ლარი.

3 პრემიერა განახორციელა მოწვეულმა რეჟისორებმა.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 10-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ სპექტაკლი - „ზღაპრული ძროხა"- სულ 8-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ იყო წარმოდგენილი იყო „ნაცარქექია" და „მაგდანას ლურჯა".

2025 წლის მონაცემებით, გურჯაანის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 3 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 10 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 524 ბილეთი და 10 სპექტაკლს დაესწრო 600 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი „ზღაპრული ძროხა", (8-ჯერ). რეპერტუარში არსებული დანარჩენი 2 სპექტაკლი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთხელ, მათ შორის, დახურული ჩვენება გაიმართა სპექტაკლის „ნაცარქექია", რომელზედაც ბილეთები არ გაყიდულა.

ბორჯომის თოჯინების თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ზღაპრული ძროხა"- 524, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 600 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული 2 სპექტაკლის შემოსავალი შეადგენს 00.00 ლარს.

2025 წელს გურჯაანის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 1 გეოგრაფიულ პუნქტში (ბათუმი) და გამართა 1 წარმოდგენა ფესტივალის ფარგლებში. საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2025 წელს გურჯაანის თოჯინების თეატრის 3 პრემიერიდან სამივეში დაკავებული იყო დასის დიდი ნაწილი. ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2025 წელს, გურჯაანის თოჯინების თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა.

ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წლის განმავლობაში დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პ როფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 1 პრემიერა, რომელიც დაფუძნებულია უცხოურ კლასიკური ნაწარმოებზე. პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 30 000 ლარი, რომელიც 100% საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა.

პრემიერა განახორციელა თეატრის ხელმძღვანელმა.

დადგმული 1 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 8-ჯერ.

2025 წლის მონაცემებით, დმანისის თეატრის რეპერტუარში 2 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 13 წარმოდგენა გამართა. 8-ჯერ იყო წარმოდგენილი „ძაღლის გული“, ხოლო 5-ჯერ „სტუმარ-მასპინძელი“. წარმოდგენებზე ბილეთები არ გაყიდულა.

2025 წელს დმანისის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 3 გეოგრაფიულ პუნქტში (ჩოხატაური, ქუთაისი, სენაკი). საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია. თეატრს ჰქონდა 1 საერთაშორისო გასტროლი. ქართული თეატრის კვირეულის ფარგლებში ითამაშეს ერთი წარმოდგენა ინდოეთის ქალაქ გუჯარატში.

2025 წელს დმანისის თეატრში ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2025 წელს, დმანისის თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა.



გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 6 პრემიერა, მათგან 2 მსოფლიო კლასიკიდან, 2 თანამედროვე თანამედროვე პიესა, 2 ქართული კლასიკური ნაწარმოები. ჟანრობრივად ამ წლის რეპერტუარი ჭრელია და მრავალფეროვანი. 6 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 103 278,24 ლარი, მათგან 24 887,44 თეატრის საბიუჯეტო სახსრებია, საკუთარი სახსრები შეადგენს 41 890,8 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს გამოყოფილი თანხები დადგმებისთვის შეადგენს 36 500 ლარს.

დადგმული 6 პრემიერა ჯამში გათამაშდა 30-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „ჩიპოლინო“ (11-ჯერ), ხოლო ყველაზე ნაკლებად ორი სპექტაკლი: „იღბლიანი“ და „ვიზიტი“.მხოლოდ 3-ჯერ. მათგან „ჩიპოლინოს“ გაყიდვებმა შეადგინა 37 425 ერთეული ბილეთი, ყველაზე ნაკლები ბილეთი (1355) პრემიერებიდან გაიყიდა სპექტაკლზე „იღბლიანი“.

6 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 1 სპექტაკლი, 2-2 მოწვეულმა რეჟისორებმა ნიკოლოზ საბაშვილმა და გიორგი თენაძემ, ხოლო 1 მამუკა ტყემალაძემ.

2025 წლის მონაცემებით, გორის თეატრის რეპერტუარში 15 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 49 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 27 833

ბილეთი და 49 წარმოდგენას დაესწრო 30 947 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ჩიპოლინო“ (11-ჯერ), ხოლო მხოლოდ თითოჯერ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „დაუძახე-

ბროწეულო“, „მზე ისევ ამოვა“, „როგორ იწერება სიყვარული“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 2-დან 5-მდე.

გორის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ოთარაანთ ქვრივი“ 9 045, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 9 824 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „როგორ იწერება სიყვარული“, სულ გაიყიდა 190 ბილეთი.

2025 წელს გორის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 3 ქალაქში თელავი, სენაკი, ოზურგეთი. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 3 ერთეული. მათგან სამივე იყო ფესტივალი.

6 პრემიერიდან 4 ახალ დადგმაში მონაწილეობდა: იაკობ კოპაძე, ზვიად მაღალაშვილი, ნათია ტატულაშვილი, მერაბ ჭანკოტაძე. შესაბამისად, ამ მსახიობებს უჭირავთ ლიდერის პოზიცია.

2025 წელს გორის თეატრის დასი დატოვეს მსახიობებმა: ანზორ გვაძაბიამ, დარეჯან ჭამაურმა, გიორგი მაყაშვილმა, ლევან ჯამბრიშვილმა. მათი ასაკი მერყეობს 49-დან 87 წლამდე.

ახალციხის (მესხეთის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წლის განმავლობაში ახალციხის (მესხეთის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 6 პრემიერა, მათგან 2 უცხოელი თანამედროვე ავტორის პიესა, 2 ქართული კლასიკური ნაწარმოები და 2 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესა. 2025 წლის დეკემბრამდე შედგა 4

სპექტაკლის პრემიერა, 2 დაგეგმილია დეკემბერში. პრემიერებიდან ძირითადად გვხდება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. 6 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 48 004,93 ლარი, მათგან 2 517,2 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 45 487,73 ლარი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება.

6 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა 2 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი 4 სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 6 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 10-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „უკან ნუღარ მიიხედავ...“ (4-ჯერ), ხოლო დანარჩენი პრემიერები 2-2 ჯერ იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ თეატრს არ გააჩნია საკუთარი სტაციონარი და თეატრი წარმოდგენებს მართავს სხვადასხვა ლოკაციაზე.

2025 წლის მონაცემებით, მესხეთის თეატრის რეპერტუარში 11 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 25 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 954

ბილეთი და 25 სპექტაკლს დაესწრო 2 176 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „უკან ნუღარ მიიხედავ“ (4-ჯერ), ხოლო ძდანარჩენი სპექტაკლები წარმოდგენილი იყო 2-2-ჯერ. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 2-დან 3-მდე.

მესხეთის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „HELLADOS“ (291 ბილეთი), ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 452 მაყურებელი.

2025 წელს მესხეთის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 7 გეოგრაფიულ პუნქტში (ბაკურიანი, ამბროლაური, გორი, საჩხერე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, თელავი). მათ შორის, 2-ჯერ გორში. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 9 ერთეული. მათგან 2 იყო ფესტივალი, 5 გასტროლი.

2025 წელს მესხეთის თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლიც. ციურიხში (შვეიცარია) თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „გამზრდელი“.

6 პრემიერიდან 4 ახალ დადგმაში მონაწილეობდა მანანა ბერიძე, ხოლო 3 პრემიერაში მიიღო მონაწილეობა ლაშა ბუტულაშვილმა.

2025 წელს მესხეთის თეატრის დასს შეემატა 46 წლის ლაშა ბუტულაშვილი.

2025 წლის მონაცემების მიხედვით, მესხეთის თეატრის დასში ირიცხება 7 მსახიობი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ თეატრის ახალ დადგმებში. მათი ასაკი მერყეობს 33 -დან 72 წლამდე.

საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 4 პრემიერა, მათგან 3 დადგმა დაფუძნებულია ქართულ კლასიკური ნაწარმოებზე, 1 უცხოურ კლასიკურ პიესაზე. ოთხივე დადგმა სხვადასხვა ჟანრს განეკუთვნება. 4 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 35 934 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 653 ლარს, მუნიციპალური 24 106 ლარი იყო,

ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 11 175 ლარი.

4 პრემიერიდან სამი დადგმა ეკუთვნის თეატრის კურატორს ლექსო ჩემიას, ხოლო ერთი მოწვეულ რეჟისორს.

დადგმული 4 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 19-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „ბატის ჭუკი“ სულ 10-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ იყო წარმოდგენილი იყო „ჯაყოს ხიზნები“.

2025 წლის მონაცემებით, ახალციხის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 14 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 42 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 3 071 ბილეთი და 42 სპექტაკლს დაესწრო 4 004 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ბატის ჭუკი“ (10-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი სპექტაკლები: „საშობაო ზღაპარი“, „იავნანამ რა ჰქმნა?!“, „მზიანი საქართველო“, „მზის სხივი“. ერთჯერ წარმოდგენილი სპექტაკლებიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე - „საშობაო ზღაპარი“ (80 ბილეთი), ხოლო ყველაზე ნაკლები

ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე - „იავნანამ რა ჰქმნა?!“ (51 ბილეთი). სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 2 - დან 5 -მდე.

ახალციხის თოჯინების თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „პინოქიო“ 474. ყველაზე ნაკლები ბილეთი კი გაიყიდა სპექტაკლზე - „იავნანამ რა ჰქმნა?!“ (51 ბილეთი).

2025 წელს ახალციხის თოჯინების თეატრს არ ჰქონია გასტროლები არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ.

2025 წელს ახალციხის თოჯინების თეატრის 4 პრემიერიდან უმრავლესობა მსახიობებისა დაკავებულია, ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2025 წელს, ახალციხის თოჯინების თეატრის დასში ცვლილება არ განხორციელებულა.



საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 1 პრემიერა, რომელიც დაფუძნებულია ქართულ კლასიკური ნაწარმოებზე. ჟანრობრივად დრამაა. ერთი პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 8 154ლარი, რაც 100% შეადგენს კერძო სახსრებს.

დადგმა განახორციელა თეატრის ხელმძღვანელმა.

ერთი პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 13-ჯერ, რომელზეც 968 ბილეთი გაიყიდა და წარმოდგენა ნახა 983 მაყურებელმა.

2025 წლის მონაცემებით, ბორჯომის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 7 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 48 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 2 641 ბილეთი და 48 სპექტაკლს დაესწრო 2 716 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „როგორ გაჩნდა ხელოვნური ნაძვის ხე“, (14-ჯერ), რომელზედაც გაიყიდა 692 ბილეთი. ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ წარმოდგენილი იყო „გაიცანი ეს ჩემი ლეკვია“, რომელზედაც 46 ბილეთი გაიყიდა. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 4 - დან 13 -მდე.

2025 წელს ბორჯომის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 1 გეოგრაფიულ პუნქტში (ჩოხატაური) - ფესტივალის ფარგლებში. 2025 წელს თეატრს ერთი საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა ასტანაში (ყაზახეთი), სადაც მონაწილეობდა თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალში.

2025 წელს ბორჯომის თოჯინების თეატრში ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2025 წელს, ბორჯომის თოჯინების თეატრის დასი დატოვა ორმა მსახიობმა: გიორგი ღონღაძემ (42 წლის) და გიორგი ჩოჩნიძემ (40 წლის). დასის შემადგენლობას დაემატა მსახიობი ბაქარ ლომიძე.

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

2025 წლის განმავლობაში ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

2025 წელს ქუთაისის საოპერო თეატრს ჰქონდა ერთი პრემიერა - ქართული ოპერა ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“. რა ადამიანური და ფინანსური რესურსი დაიხარჯა ერთი საპრემიერო სპექტაკლის მომზადებაზე თეატრს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

2025 წლის მონაცემებით თეატრმა 6 სხვადასხვა კომპოზიტორის ოპერები წარმოადგინა და გამართა 4 კონცერტი. წელიწადში თეატრმა გამართა 10 სპექტაკლი. 4 სხვადსხვა ავტორის ოპერა ძირითადად წარმოდგენილი იყო ერთხელ და ორჯერ. 10 სპექტაკლზე და 4 კონცერტზე თეატრმა 826 ბილეთი გაყიდა. წლის მანძილზე თეატრის წარმოდგენებს 1 250 მაყურებელი ესწრებოდა.

2025 წელს თეატრს არ ჰქონია გასტროლები არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დასში რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 4 პრემიერა, მათგან 2 უცხოურ კლასიკაა, ერთი უცხოელი თანამედროვე ავტორის ნაწარმოები და ერთი თანამედროვე ქართველი ავტორის პიესა. პრემიერებიდან ძირითადად გვხდება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. 4 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 107 828 ლარი, მათგან 99 378 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 8 450 საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება.

4 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა 2 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 4 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 31-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „შობის სიზმარი“ (14-ჯერ), ხოლო ყველაზე ნაკლებად, სულ 4-ჯერ იყო წარმოდგენილი „ძარცვა იტალიურად“.

2025 წლის მონაცემებით, მესხიშვილის თეატრის რეპერტუარში 10 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 63 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 6 421

ბილეთი და 63 სპექტაკლს დაესწრო 9 797 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „შობის სიზმარი“ (14-ჯერ), ხოლო მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „შელოცვა რადიოთი“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 4-დან 8-მდე.

მესხიშვილის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი - 3 081 გაიყიდა სპექტაკლზე „შობის სიზმარი“, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 4 053მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „შელოცვა რადიოთი“, რომელზედაც 95 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 255 მაყურებელი.

2025 წელს მესხიშვილის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 4 გეოგრაფიულ პუნქტში (თბილისი, თელავი, რუსთავი, მარტვილი) მათ შორის. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 4 ერთეული. მათგან 3 იყო ფესტივალი, 1 გასტროლი. ასევე თეატრმა სპექტაკლით „იმერული რეკვიემი“ მონაწილეობა მიიღო ქუთაისშივე გამართულ თეატრალურ ფესტივალში.

2025 წელს მესხიშვილის თეატრს ჰქონდა ერთი საერთაშორისო გასტროლი აფრიკაში. ქალაქ ნაირობიში (კენია).

2025 წელს მესხიშვილის თეატრში მსახიობთაგან ლიდერია სოფო ჩირაძე, რადგან ის 4 პრემიერიდან 3 დადგმაში მონაწილეობდა. 8 მსახიობი ორ პრემიერაში მონაწილეობდა.

2025 წელს მესხიშვილის თეატრის დასში მოხდა რამდენიმე განახლება. დასი დატოვა თორნიკე იმედაძემ (35 წლის), ხოლო დასს შეემატა 3 მსახიობი ლუკა ჭეიშვილი (22 წლის), სალომე ქშუტაშვილი (18 წლის), ზაური ნუცუბიძე (24 წლის).

2025 წლის მონაცემების მიხედვით, მესხეთის თეატრის დასში ირიცხება 11 მსახიობი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ თეატრის ახალ დადგმებში. ახალ დადგმებში დაუკავებელ მსახიობთა ასაკი მერყეობს 37 -დან 92 წლამდე.

საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრს არ ჰქონია პრემიერა.

2025 წლის მონაცემებით, ქუთაისის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 16 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 204 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 15 370 ბილეთი და 204 სპექტაკლს დაესწრო 15 666 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ცრუპენტელა მელაკუდა“ (40-ჯერ), მხოლოდ ორჯერ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „ნამცეცას შობის ზღაპარი“, აღნიშნულ სპექტაკლზე გაიყიდა 363 ბილეთი. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 8 - დან 24 -მდე.

2025 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრს არ ჰქონია გასტროლები არც ქვეყნის შიგნით, არც საზღვარგარეთ.

2025 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრში ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2025 წელს, ქუთაისის თოჯინების თეატრის დასში რაიმე ცვლილება არ მომხდარა.

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან ორი დადგმა დაფუძნებულია თანამედროვე ქართველი ავტორების თხზულებებზე, ხოლო ერთი უცხოური კლასიკური ნაწარმოებია. ჟანრობრივად არც ერთი მიეკუთვნება კლასიკურ კომედიას და ტრაგედიას. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 58 112.50

ლარი, მათგან თეატრის საკუთარი სახსრები შეადგენს 6 040 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 52 058, 64 ლარი.

3 პრემიერიდან ერთი დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, ხოლო ორი მოწვეულ რეჟისორებს.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 7-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „აჯანყებულთა ვაგონი“ სულ 5-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ იყო წარმოდგენილი „შობა, რომელიც აკრძალეს“. მესამე პრემიერა დაგეგმილია 2025 წლის დეკემბერში. ვინაიდან მონაცემები ეყრდნობა 1 დეკემბრამდე პერიოდს, სტატისტიკაში ბოლო პრემიერის მონაცემები ვერ აისახა.

2025 წლის მონაცემებით, ზესტაფონის თეატრის რეპერტუარში 11 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 29 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 2 180

ბილეთი და 29 სპექტაკლს დაესწრო 7 510 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „იავნანამ რა ჰქმნა!?“ (12-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ნუ გააღვიძებ“, „ვაჟიშვილი“, „ხანუმა“, „ჰამლეტი“. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 2 - დან 12 -მდე.

ზესტაფონის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „იავნანამ რა ჰქმნა!?“ - 1 505 ერთეული, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 5 000 მაყურებელი. წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წარმოდგენილი სპექტაკლებიდან ყველაზე მეტი გაყიდვა ჰქონდა სპექტაკლს „ნამცეცა“ (148 ბილეთი), ხოლო ყველაზე დაბალი გაყიდვებით გამოირჩევა „ვაჟიშვილი“, სულ 10 ბილეთი გაიყიდა.

2025 წელს ზესტაფონის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 3 გეოგრაფიულ პუნქტში (ოზურგეთი, ბათუმი, ქუთაისი) და ჯამში გამართა 4 წარმოდგენა. მათგან 2 იყო ფესტივალი, ხოლო 2 გასტროლი. 2025 წელს ზესტაფონის თეატრს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია, არც საერთაშორისო ფესტივალში მიუღია მონაწილეობა.

2025 წელს ზესტაფონის თეატრის პრემიერებიდან ყველაზე მეტად დაკავებული მსახიობები იყვნენ: ბადრი ტაბატაძე, ზურაბ აბესაძე, თემურ კიკნაველიძე.

2025 წელს ზესტაფონის თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. თეატრში მხოლოდ ერთ მსახიობს, გიორგი ჩაჩუას (34 წლის) არ მიუღია მონაწილეობა 3 პრემიერიდან არც ერთში.



ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან ერთი დაფუძნებულია ქართულ დრამატურგიაზე, ხოლო 2 უცხოურ თანამედროვე ავტორების თხზულებებზე. ჟანრობრივად პიესები მრავალფეროვანია. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 85 200 ლარი. მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 25 000 ლარს, მუნიციპალური 60 200 ლარს.

3 პრემიერიდან ერთი დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, ორი მოწვეულ რეჟისორებს.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 12-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 8 -ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „მოდარაჯე ძაღლები“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ იყო წარმოდგენილი „სიძე მოვალს ანუ დღესასწაული პატარა“ და „ცხოვრება თამაშია“.

2025 წლის მონაცემებით, ჭიათურის თეატრის რეპერტუარში 3 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 12 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 513

ბილეთი, ხოლო დაესწრო 832 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი „მოდარაჯე ძაღლები“ (8- ჯერ).

2025 წელს ჭიათურის თეატრს საერთაშორისო გასტროლები არ ჰქონია არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის გარეთ.

2025 წელს, ჭიათურის თეატრის საპრემიერო 3 დადგმიდან უმეტესობაში მონაწილეობდნენ დასის ძირითადი ნაწილი, ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა. 2025 წლის მონაცემებით, ჭიათურის თეატრის დასში 3 მსახიობია, რომლებიც არც ერთ ახალ დადგმაში არ მონაწილეობდნენ. ესენია როდერი ჩაჩანიძე (86 წლის), იზა ჯიშკარიანი (87 წლის), იური ბიწაძე (81 წლის).

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

2025 წლის განმავლობაში ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის შენობაში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 8 პრემიერა, მათგან 2 მსოფლიო კლასიკიდან, 2 ქართული კლასიკაა, 2 უცხოური თანამედროვე პიესა, 2 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესა. ჟანრობრივად ამ წლის რეპერტუარი საკმაოდ ჭრელია და მრავალფეროვანი, რადგან პრემიერებიდან გვხდება როგორც კომედიები, ისე დრამები და სხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. 8 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 94 172 ლარი, მათგან 12 006 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 24 000 მუნიციპალური ბიუჯეტიდან, 58 166 ლარი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა.

8 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 3 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი 5 სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 8 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 53-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „ოქროს წიწილა“ (24-ჯერ), ხოლო ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ 2-ჯერ სპექტაკლები „სამშობლო“ და „ოხუნჯი მგელი“. აღსანიშნავია, რომ თეატრს არ გააჩნია საკუთარი სტაციონარი და თეატრი წარმოდგენებს მართავს სხვადასხვა სივრცეებში.

2025 წლის მონაცემებით, ზუგდიდის თეატრის რეპერტუარში 12 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 82 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 4 173

ბილეთი და 82 სპექტაკლს დაესწრო 7 387 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ოქროს წიწილა“ (25-ჯერ), ხოლო მხოლოდ 2-2-ჯერ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „სამშობლო“, „ოხუნჯი მგელი“ და „ყოველი წლის თებერვალში“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 3-დან 11-მდე.

ზუგდიდის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ოქროს წიწილა“ -1 503 ერთეული, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 600 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „სამშობლო“, რომელზედაც სულ გაიყიდა 20 ბილეთი.

2025 წელს ზუგდიდის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 8 გეოგრაფიულ პუნქტში, მათ შორის, 2-ჯერ მესტიაში, 8-ჯერ სენაკში, 3-ჯერ თბილისში, 2-ჯერ თელავში, ხობში, ოზურგეთში, გორსა და ქუთაისში. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 19 ერთეული. მათგან 6 იყო ფესტივალი, 13 გასტროლი.

2025 წელს ზუგდიდის თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლიც. თეატრმა 4 წარმოდგენა გამართა საქართველოს ფარგლებს გარეთ 3 ქვეყანაში, მათ შორის, 2 აჰმედაბადსა და ჰაიდარაბადში (ინდოეთი), ტრაპიზონში (თურქეთი), კოსტანაიაში (ყაზახეთი).

8 პრემიერიდან 4 ახალ დადგმაში მონაწილეობდნენ: გიორგი ქობალია, ირაკლი სა მუშია, გიგა აბულაძე, კობა მატკავა. სწორედ მათ უჭირავთ ლიდერის პოზიცია.

2025 წელს გორის თეატრის დასი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა მსახიობმა მზევინარ ჩარგაზიამ. თეატრის დასში ირიცხება 2 მსახიობი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ თეატრის ახალ დადგმებში (გიორგი კაკალაშვილი, გიორგი ჩაჩუა), მათი ასაკი მერყეობს 30 -დან 33 წლამდე.



სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან 1 დაფუძნებულია ქართულ კლასიკურ მწერლობაზე, ხოლო 2 უცხოურ კლასიკურ პიესაზე. ჟანრობრივად სპექტაკლები ერთმანეთისგან განსხვავებულია. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა 95 700 ლარი დახარჯა, მათგან სამინისტროს დაფინანსებაა 41 000 ლარი, მუნიციპალური 32 000 ლარია და კერძო დაფინანსება შეადგენს 22 700 ლარს.

3 პრემიერიდან ორი დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, ხოლო ერთი მოწვეულ რეჟისორს.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 13-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 6 - ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „იაკობ გოგებაშვილი“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ „ტრამვაი სურვილი“.

2025 წლის მონაცემებით, სენაკის დრამატული თეატრის რეპერტუარში 9 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 37 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 4 739

ბილეთი, ხოლო დაესწრო 4 993 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ (7- ჯერ), რომელზედაც 854 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „ჰარპაგონი“ (გაიყიდა 86 ბილეთი), „რომეო და ჯულიეტა“ (გაიყიდა 281 ბილეთი).

2025 წელს სენაკის თეატრს გასტროლები ჰქონდა საქართველოს 3 გეოგრაფიულ პუნქტში (ოზურგეთი, თელავი, თბილი), მათ შორის, 2 წარმოდგენა გამართა დედაქალაქში შესაბამისად ჯამში სენაკის თეატრმა გასვლითი 4 წარმოდგენა გამართა.

სენაკის თეატრის თეატრალური დრამატული სტუდიის აღსაზრდელებისთვის გაიმართა თიკა ქოიავას მასტერკლასი სასცენო მოძრაობასა და პლასტიკაში, ასევე მანანა ბერიკაშვილის მასტერკლასი სასცენო მეტყველებაში, შიო აბრახამიას მასტერკლასი სამუსიკო ხელოვნებაში. სამივე ვორქშოპი ჩატარდა რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.

2025 წლის სენაკის თეატრის 3 პრემიერიდან სამივეში მონაწილეობდნენ: ირაკლი ადამია, ლალი გაბელაია, ვლადიმერ კოკაია, თამარ აბშილავა, ცოტნე კაცია და ამირან მალანია.

თეატრის საპრემიერო წარმოდგენებში არ მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მსახიობი გულნარა მაშავა (84 წლის).



ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 4 პრემიერა, მათგან 1 ქართული კლასიკური დრამატურგიაა, 2 უცხოური კლასიკა, ხოლო 1 თანამედროვე ქართველი დრამატურგის პიესა. პრემიერების მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 46 634.25 ლარი, სადადგმო ხარჯი მთლიანად საქართველოს კულტურის სამინისტრომ გასწია.

4 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა 2 სპექტაკლი, ხოლო ორი მოწვეულმა რეჟისორებმა.

დადგმული 4 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 23-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „მსხვერპლი“ – 9-ჯერ, ხოლო „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ - 3-ჯერ.

2025 წლის მონაცემებით, ფოთის თეატრის რეპერტუარში 12 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 54 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში

გაიყიდა 2 447 ბილეთი და 54 სპექტაკლს დაესწრო 6 448 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „მსხვერპლი“ (11-ჯერ), ხოლო მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „სასტუმროს ბარში“, რომელზედაც არცერთი ბილეთი არ გაყიდულა, თუმცა დაესწრო 60 მაყურებელი. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 3-დან 10-მდე.

ფოთის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „მსხვერპლი“- 621, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 438 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „სასტუმროს ბარში“, რომელზედაც არც ერთი ბილეთი არ გაყიდულა და დაესწრო 60 მაყურებელი.

2025 წელს ფოთის თეატრმა იმოგზაურა მსოფლიოს 3 ქვეყანაში: ბელგიის ქალაქ ბრიუსელში წარმოადგინეს სპექტაკლი - „ყვარყვარე“. ინდოეთის ქალაქ გუჯარატში თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლები - „ადამიანის ხმა“, „ყვარყვარე“. ესტონეთის ქალაქ ნარვაში სპექტაკლი „ანას მომენტი“.

2025 წელს ფოთის თეატრში მსახიობთაგან ლიდერი არ გამოიკვეთა, რადგან მომზადებული 4 პრემიერიდან 2-ში მონაწილეობას იღებდა მსახიობთა უმრავლესობა.

2025 წელს ფოთის თეატრის დასში დაბრუნდა 53 წლის ფატიმა აბრახამია, ხოლო დასი დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე 28 წლის მსახიობმა თორნიკე კაკულიამ.



ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, მათგან 1 დადგმა დაფუძნებულია უცხოური კლასიკური ნაწარმოებზე, 2 ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშია, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს ინსცენირებებს. ჟანრობრივად დადგმული სპექტაკლები მიეკუთვნება დრამას, 2 კი ზღაპარია. 5 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 102 525,58 ლარი, მათგან მუნიციპალური სახსრები შეადგენს 11 372 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 66 686,58 ლარი.

5 პრემიერიდან 3 დადგმას ხელმძღვანელობდა თეატრის ხელმძღვანელი, 2 კი მოწვეული რეჟისორის დადგმულია.

დადგმული 5 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 108-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „ილია თანამდევი სული“ სულ 48-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი იყო „იფიგენია ავლისში“ 17-ჯერ. დანარჩენი საპრემიერო სპექტაკლების წარმოდგენების რაოდენობა მერყეობს 17-დან 22-მდე.

2025 წლის მონაცემებით, ოზურგეთის თეატრის რეპერტუარში 6 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 103 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 14 220 ბილეთი და 103 სპექტაკლს დაესწრო 16 964 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2025 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ილია თანამდევი სული“ (48-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „ცის კარი“ (სულ 2-ჯერ). სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 10-დან 17-მდე.

ოზურგეთის თეატრის 2025 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „კუკარაჩა“- 4 015, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 4 500 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „ილია თანამდევი სული“, რომელზედაც 2 009 ბილეთი გაიყიდა.

2025 წელს ოზურგეთის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 7 გეოგრაფიულ პუნქტში (ამბროლაური, მესტია, თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი) და გამართა 8 წარმოდგენა. მათ შორის 2-ჯერ თბილისში. გასვლითი წარმოდგენებიდან 2 იყო ფესტივალი, ხოლო 5 გასტროლი.

2025 წელს ოზურგეთის თეატრს საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა 3 ქვეყანაში
და გამართა 4 წარმოდგენა, მათ შორის, ბაქოსა და განჯაში (აზერბაიჯანი), აქთობე
ში (ყაზახეთი), სარაგოსა (ესპანეთში).

2025 წელს ოზურგეთის თეატრში ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2025 წელს, ოზურგეთის თეატრის ინიციატივით თეატრში ჩატარდა შემდეგი მასტერკლასები:

მასტერკლასი სასცენო მეტყველებაში - უძღვებოდა პროფესორი მანანა ბერიკაშვილი (2-ჯერ);

მასტერკლასი ქართული სცენოგრაფიის ისტორიაში – უძღვებოდა პროფესორი ხათუნა კიკვაძე.

2025 წელს, საკუთარი განცხადების საფუძველზე თეატრი დატოვეს მსახიობებმა: ზვიად ჯორბენაძემ და მარიკა ასათიანმა.

2024-2025


6000
5000
4000
3000
2000
1000
0
89
97
317
352
2391
2727
პრემიერების რაოდენობა
სარევერტუარო სპექტაკლების რაოდენობა
წარმოდგენების რაოდენობა
2024
2025


წარმოდგენების რაოდენობა 2024
2727
1758
969
3000
2500
2000
1500
1000
500
0
სულ
რეგიონი
დედაქალაქი
წარმოდგენების
რაოდენობა
დედაქალაქი
რეგიონი
სულ


წარმოდგენების რაოდენობა 2025
2391
1601
790
2500
2000
1500
1000
500
0
სულ
რეგიონი
დედაქალაქი
წარმოდგენების
რაოდენობა
დედაქალაქი
რეგიონი
სულ


გაყიდვები და დასწრება 2024-2025
900,000
800,000
700,000
600,000
500,000
400,000
300,000
200,000
100,000
0
326,609
349,556
393,135
399,948
გაყიდული ბილეთები
დამსწრე მაყურებელი
2024
2025


გაყიდული ბილეთები და დამსწრე მაყურებელი 2024- 2025
700,000
600,000
500,000
400,000
300,000
200,000
100,000
0
2024
2025
183,911
142,698
210,316
92,819
285249
399948
643071
309947
გაყიდული ბილეთები
დამსწრე მაყურებელი
გაყიდული ბილეთები
დამსწრე მაყურებელი
დედაქალაქი
რეგიონი


პრემიერების და სარეპერტუარო სპექტაკლების რაოდენობა 2024-2025 (თბილისი)
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
ოქსიდული
ბარიკადური
ახალი თეატრი
კინოზანამბინობა
მოზარდ მაყურებელთა
თბილისის თოკლიანები
ბარიონეტები
ჩრდილები
ბრიბოიდური
სიმბერი
პეტრიპაიტელი
ცხიმალი


პრემიერების და სარეპერტუარო სპექტაკლების რაოდენობა 2024-2025 (რეგიონი)
60
50
40
30
20
10
0
თელავი
გურჯაანის თოკლიანები
დმანისი
გორი
ბესლეთი
ახალციხის თოკლიანები
ბორჯომის თოკლიანები
ქუთაისის ოპერა
ქუთაისის დრამა
ქუთაისის თოკლიანები
ზესტაფონი
ჭიათურა
ზუგდიდი
სენაკი
ფოთი
ოზურგეთი


თეატრების დატვირთულობა/ფუნქციონირება 2024-2025 (თბილისი)


თეატრის დატვირთულობა/ფუნქციონირება 2024-2025 (რეგიონი)


წარმოდგენების რაოდენობა 2024-2025 (თბილისი)
700
600
500
400
300
200
100
0
0 0
108 72
134 139
186 0
122 87
559 639
230 194
255 296
32 58
90 95
15 12
11 8
16 1
თბილისის ოპერა
რუსთაველი
მარჯანიშვილი
პატარა თეატრი
კინოფესტივალი
მარჯანიშვილი ფილიალები
თბილისის თოჯინები
ფანტასტიკა
ბრიგადა
ფოლიფონი
ხიმშიერი
ოფენბაღიანელები
ბურანი


წარმოდგენების რაოდენობა 2024-2025 (რეგიონი)
300
250
200
150
100
50
0
30 26
1 0
16 12
70 49
37 25
71 42
80 48
2 9
67 63
249 204
29 29
20 12
44 82
43 35
58 51
152 103
ოდღესაც
გურეკაძის თოჯინები
დუმბისი
ყორი
მუსხეთი
ახალციხის თოჯინები
ბორჯომის თოჯინები
ქუთაისის ოპერა
ქუთაისის დრამა
ქუთაისის თოჯინები
ზესტაფონი
ჭიათურა
ზუგდიდი
ხერსა
ფოთი
ონლეგეთი


გასტროლები ქვეყნის შიგნით 2024-2025
2024
2025
გეოგრაფიული პუნქტი
35
29
წარმოდგენის რაოდენობა
123
110

გასტროლები საზღვარგარეთ
2024
2025
ქვეყანა
13
32
წარმოდგენის რაოდენობა
35
16




შემოსავალი 2024-2025 (რეგიონი)
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
14,946
8010
230358
38738
21699
19,110
2330030
35,499
63473
9320
25100
112,070
49116
124100
138571
15491
41353
27,842
40938
56,320
49883
75109
0
0
0

რემონტში და შენობის გარეშე მყოფი თეატრები 2024

	პრემიერები	რეპერტუარი	წარმოდგენები	გაყიდული ბილეთები	დამსწრე მაყურებელი
ქუთაისის ოპერა	0	2	2	0	
ჩრდილები	0	4	32	0.79	1.072
აზერბაიჯანული	1	3	11	0.081	0.015
დმანისი	2	4	16	0.045	0.045
ცხინვალი	2	5	16	1.55	1.55
სომხური	2	4	15	1.12	1.99
ჭიათურა	3	10	20	1.25	2.26
გურჯაანი	3	3	1	0.52	0.06
ზუგდიდი	5	14	44	3.09	3.68
მესხეთი	5	16	37	3.8	5.17

რემონტში და შენობის გარეშე მყოფი თეატრები 2025 1 დეკემბრამდე

	პრემიერები	რეპერტუარი	წარმოდგენები	გაყიდული ბილეთები	დამსწრე მაყურებელი
ქუთაისის ოპერა	1	6	9	826	925
ჩრდილები	0	6	58	220	460
აზერბაიჯანული	1	3	8	22	150
დმანისი	1	2	12	0	0
ცხინვალი	0	1	1	138	138
სომხური	5	6	12	1529	2023
ჭიათურა	3	3	12	513	832
გურჯაანი	0	0	0	0	0
ზუგდიდი	8	12	82	4173	7387
მესხეთი	6	20	25	954	2176


დაფინანსება 2024
70
60
50
40
30
20
10
0
36
10
26
11
4
7
61
27
34
სამინისტრო
მუნიციპალიტეტი
კერძო
პროექტის რაოდენობა
თბილისი
რეგიონი


დაფინანსება 2025
40
35
30
25
20
15
10
5
0
34
11
22
10
4
6
36
27
9
სამინისტრო
მუნიციპალიტეტი
კერძო
პროექტის რაოდენობა
თბილისი
რეგიონი

კულტურის სამინისტრო